სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი გეგმავს გერმანული ენის 16 მასწავლებლის გაგზავნას კვალიფიკაციის ასამაღლებლად ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მდებარე სასწავლო ცენტრში. კანდიდატების შერჩევა მოხდება შემდეგი წესით:

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ **გერმანული ენის საჯარო სკოლების მოქმედ** (უფროს და წამყვან) მასწავლებლებს;

2. კონკურსანტებს **არ უნდა ჰქონდეთ გავლილი** სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ წინა წლებში ორგანიზებული პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი გერმანიაში.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
პირველ ეტაპზე მოხდება დარეგისტრირებული კონკურსანტების შერჩევა წარმოდგენილი პორტფოლიოს საფუძველზე.

პორტფოლიოს დოკუმენტაცია:

ა) CV ქართულ ენაზე;

ბ) მასწავლებლის სწავლების ფილოსოფია: მასწავლებელმა უნდა წარმოადგინოს მაგალითები საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკიდან, თვითშეფასება, სწავლების რა სტრატეგიებს იყენებს და ა.შ. (ამ დოკუმენტის დასაწერად იხილეთ შაბლონი თანდართულ ფაილებში);

გ) ჩატარებული ორი გაკვეთილის გეგმა;

დ) წარმოდგენილი გეგმების თვითშეფასება (გაკვეთილის გეგმებში უნდა ჩანდეს როგორ გაითვალისწინა მასწავლებელმა წინა გაკვეთილის შეფასება ახლის დაგეგმვისას);

ე) მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანგარიში და ამ ანგარიშის საფუძველზე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსია (ნიმუში იხილეთ თანდართულ ფაილებში).

პორტფოლიოს ყველა კომპონენტი წარმოდგენილი უნდა იყოს **გერმანულ ენაზე.**

პორტფოლიოების გადარჩევის შემდგომ, **მეორე ეტაპზე** გადასული კონკურსანტები გაივლიან გასაუბრებას (ზეპირ ინტერვიუს); ინტერვიუზე მასწავლებლებმა უნდა წარმოადგინონ მათ მიერ ჩატარებული ერთი კონკრეტული გაკვეთილის შეფასება (ევალუაცია) გერმანულ ენაზე.

კონკურსანტები შეფასდებიან კომისიის მიერ, რომელიც დაკომპლექტდება მაწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და გოეთეს ინსტიტუტის მოწვეული წარმომადგენლებით.

საკონკურსო განაცხადის გამოგზავნის ბოლო ვადაა 19 ოქტომბერი;
პორტფოლიო გამოგვიგზავნეთ მისამართზე: info@tpdc.ge;
საკონტაქტო პირი: ხათუნა მჭედლიშვილი - kmchedlishvili@tpdc.ge."